«მაუწყებელთა ქცევის კოდექსით» გათვალისწინებული მოთხოვნა მაუწყებლის ანგარიშვალდებულების შესახებ

«მაუწყებელთა ქცევის კოდექსის» მე-8 მუხლის (ანგარიშვალდებულება) შესაბამისად, შპს სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2» წარმოგიდგენთ თვითრეგულირების სისტემის შესახებ ანგარიშს კანონით მოთხოვნილი ინფორმაციის გათვალისწინებით:

ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესული საჩივრების (სააპელაციო საჩივრების), განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

2015 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 1 მაისამდე თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შემოვიდა სულ 2 საჩივარი. აღნიშნული ორი საჩივარი შემოსულ იქნა ბოლო პერიოდში, რაზედაც თვითრეგულირების ორგანოს ჯერ გადაწყვეტილებები არ აქვს გამოტანილი. ამასთან, ორივე საჩივარი შემოსულია გადაცემა „პროფილთან“ დაკავშირებით. საჩირის ორივე თემატიკაზე გადაცემის წამყვანსა და ავტორს, მაია ასათიანს გაკეთებული აქვს შესაბამისი რეაგირება საჯარო განცხადების სახით).

პირველი საჩივრის ავტორია ფიზიკური პირი გიორგი ყიფიანი. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2016 წლის 28 იანვრის გადაცემა „პროფილის“ ანონსში, რომელიც 25 იანვრიდან გადაიცემოდა, განთავსებული იყო წამყვანის სიტყვები არასრულწლოვანთა გახშირებული თვითმკვლელობების შესახებ. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ როგორც უშუალოდ გადაცემის ანონსების გაშვებით, ისე გადაცემაში დარღვეულ იქნა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-3 მუხლი, 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, მე-10 პუნქტი, 47-ე მუხლის მე-8 პუნქტი. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ხსენებულ სადავო გადაცემებსა და ანონსებში წამყვანს არ მიუთითებია თვითმკვლელობასთან დაკავშირებული გაზრდილი სტატისტიკური მონაცემების წყარო, ვინაიდან საჩივრის ავტორის განცხადებით, ასეთი წყარო რეალურად არ არსებობს. გიორგი ყიფიანი მიიჩნევს, რომ ამით დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ვინაიდან ჟურნალისტმა მაყურებელს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და არ მიუთითა სტატისტიკური ინფორმაციის წყარო. გიორგი ყიფიანი აღნიშნავს, რომ ხსენებული გადაცემის 22:00 საათზე გადაცემით მაუწყებელმა დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი წყალგამყოფის დაცვის ვალდებულება.

საჩივრის ავტორი აგრეთვე ვრცლად საუბრობს ჟურნალისტის მხრიდან „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ პრინციპების, კერძოდ ქარტიის მე-8 და მე-10 პუნქტების დარღვევაზე და მიიჩნევს, რომ ჟურნალისტებმა ბოდიში უნდა მოუხადონ საზოგადოებას.

მაუწყებელი აღნიშნავს, რომ გადაცემა „პროფილის“ ავტორი და წამყვანი არ არის ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი პირი.

მეორე საჩივრის ავტორია არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის სოფელი“. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2016 წლის 14 აპრილს გადაცემასთან დაკავშირებით ჟურნალისტმა მაია ასათიანმა წინასწარგანზრახულობით თუ დაუდევრობით გადაცემაში მიიწვია ფსიქიკური პრობლემების მქონე ყოფილი მღვდელმთავარი, ჟურნალისტმა გამოაქვეყნა დაუმოწმებელი ინფორმაცია, გადაცემით დაირღვა გადაცემის სტუმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მაუწყებელი აღნიშნავს, რომ საჩივარში არ არის მითითებული მაუწყებელთა ქცევის კონკრეტული ნორმები, რომელის დარღვევის დადგენასაც ითხოვს საჩივრის ავტორი. ამასთან, საჩივრის ავტორი აპელირებს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაზე, რომლის ხელმომწერი წევრიც არ არის მაია ასათიანი.

მაუწყებლის მიერ საკუთარი თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ:

სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2-ში» ეტაპობრივად ხდება თანამშრომელთა ტრეინინგი და კვალიფიკაციის ამაღლება. 2015 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 1 მაისამდე პერიოდულად ხდებოდა «რუსთავი 2-ის» თანამშრომელთა, განსაკუთრებით საინფორმაციო გადაცემების ჟურნალისტებისა და პროდიუსერებისთვის იმ სემინარებზე, კონფერენციებზე, ტრეინინგებზე, დასწრება, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციათა (მედიის განვითარების ფონდი, აირექსი, ეუთო, კავკასიის უნივერსიტეტი და სხვა) მიერ. საინფორმაციო დეპარტამენტის თანამშრომლები პერიოდულად ესწრებოდნენ ასევე სახელმწიფო ორგანოების მიერ ორგანიზებულ სემინარ-ტრეინინგებს, მაგალითად თავდაცვის სამინისტროს, სასამართლოების მიერ ორგანიზებულ მოკლევადიან ტრეინინგებს, რომელიც ეხებოდა სტრუქტურებს შორის საინფორმაციო კუთხით თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდას.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ თანამშრომლებმა გაიარეს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კურსები, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობებს; კომპანიაში მოწვეულ იქნა პერსონალური ტრენერი, რომელმაც ჩაატარა ტრეინინგი კარიერულ განვითარებასა და წინსვლასთან დაკავშირებით; კომპანიაში მიმდინარეობს თანამშრომელთა სისტემატიური ტრეინინგი მეტყველების კულტურასა და უცხო ენების უნარებში, მათ შორის პროფესიონალური ინგლისური ენის კურსებში.

მიმდინარე წელს დაიგეგმა საფრანგეთიდან სპეციალისტის მოწვევა ჟურნალისტებისა და ოპერატორებისათვის ტრეინინგების ჩასატარებლად. აღნიშნული ტრეინინგის იმპელემნტაცია მოხდება 2016 წლის ზაფხულის პერიოდში.

«რუსთავი 2», როგორც დამსაქმებელი ხელს უწყობდა ჟურნალისტებს მათ მიერ საკუთარი რესურსებით მოძიებულ და დაფინანსებულ ტრეინინგებსა თუ სემინარებზე მონაწილეობის მისაღებად.